 ის ღრო ხომ იყო კაცს მარტოს
 გარეთ არ გაველებოდა.
 დაიხ... ის ტყვი... ივანი
 ღმერთმა გაცხონოს სულითა,
 განათლებულა, ცოცხლობდი,
 მართლა ვაჟკაცის რჯულითა.
 გვიყვარდა. შეეხებოდა,

უწოდით ტყავსა კალოთზე
 ან გავთხიფოდით ლავითა,
 მაგრამ არ გაწყრის ამაზე.
 ძლიე მაშინ გავაიცულოს,
 ძლიე მაშინ გავაციოდით
 როცა მუგუშლით ედაღვდით,
 ან ლაფში ჩაეაწინოდით.
 „ამიშვით, თქვენი ჭირიმე“
 გვეხვეწებოდა ძირითა.
 შინა ძლიე ეთქმევინოდით
 სიტყვა საამო პირითა.
 არას დასდევდა ტანთ-ჩაცმას
 არც რა სახელსა ჰყვარობდა.
 როცა ლეკებსა ჟუჟავდა,
 მარტო მაშინა ხარობდა.
 მეფისგან ჰქონდა ნაძღვნიე
 ივანეს სამი ხალათი,
 მაგრამ ივანეს ბეჭებმა
 არა იცოდა ამათი,
 შინ ეწყვენ, იმჟერატლებოდენ,
 საცა ეკიდა კალათი.
 ერთხელ ერგულეს უნღოდა
 ჩაეცმევინა ძალათი;
 ივანეც თავის მეფესთან
 იყო თამამი, ხალბათი.
 — რატომ არ იცემ, ივანი,
 თქვა მეფემ, გახდა კამათი.
 — მე რა ხალათის ღირსი ვარ,
 დღე მუღამ ცბერები ჯაგებში,
 შენი ჭირიმე მეფეო,
 შინ მილაგია მარგებში.
 ეინახე გველის თვალევიით
 თვალ-გულის საამურთა.
 გავცეთო, რამლა მაგონოს
 ხელმწიფის სამსახურთა.
 ერეკლემ ვაჟკაცის სიტყვის
 დინჯათ დაუკლო ყურთა.
 და გაიღმა, გაუგო,
 სადაც ივანი ღონობდა,
 ან თავის გასამართლებლათ
 რომ მარჯვე სიტყვის გონობდა.
 აღარა უთხრა, გაბრუნდა,
 წავიდა თავის ქნევიითა,
 თავის კარავში მიბძანდა
 პატარა კახი ქვეითა.

ვაჟა-ფშაველა.

(შემდეგ იქნება)

*) სოფიხნოთ — სისუპროთ.

სახუმარო ვასართობი

(გ ო ლ ე ბ ა).



ა რისხვით თავზე დამეცა,
დამადეს ასე მწარეთა!..
რა შემიძლია, რაღა ექნა,
მე საღაროს ვარეთა?!

რაც რამა გექონდა ერთობით,
ყველამაც მოვიხმარეთა,
ვერც შეფოთით, ვერცა ხრიკებით
ვერავრით მოუგვარეთა.

რა მრჯოდა, რისთვის აუყევი,
ჩემს ამქრის ერთგულ მოლასა!..
ზოგს ციმბირისკენ ემუქრის,
ზოგს რევოლვერის სროლასა.
ვინ იცის, რა შედეგი აქვს
ქალების გულის თრთოლასა!..
ვაი ამ..... ქ...ს ყოლასა
და ვაი უყოლობასა.

თუმცა მამაკათ ვიბრძოლე,
მაგრამ დამიგეს მახეა,
იმ გოლიათმა საბუთი,
მთლათ თავზე გადამახია!..
თითო სიტყვები გადმოიკრა
გული გამიბო, ახია,
რისთვის ჩავარდი მახეში,
ძმებო, ეს ჩემზე ახია.

მოდი შენ ენდე კიკოლიკს?
აღბა და განზე გავიდა,
ყველას კი ცილი დასწამა,
ვინც რომ დარბაზში შევიდა,
მეც ზოგს რა უთხარ, ზოგსა რა,
მაგრამ ჩემი არ გავიდა!..

მართალს იტყვიან, მუღღმეათ
კაცს ბეღა არა რჩებაო.
მაშინ ნამეტურ როდესაც
თავის გზა ეკარგებაო!..
ესე ანდაზა ყველასა,
ვგონებ რომ ეფუყებაო!..
ვინც სხვებსა უთარის ოპიოსა,
თითონევე ჩავარდებაო.

მ...ო.

ნ თ შ ო .

(მოთხრობა *)

XVI.

ობის მარხვა მიწურულიყო, ბენდიერი დღე-
ში მოახლოებულიყვნენ. წინათ ნუშოპ დიდი
მზადება იყო და ამ დროს, მთელი სახლი ფეხ-
ზე იდგა: ვეა, წმენდა, რეცხვა, ხარხვა, ბაზრიდან ზოხ-
ხა-ბოხხაზე და ჭურჭელი-ჭურჭელზე მოდიოდა ნაეჭ-
რით; რა შევნიერი ტანისამოსი, რა ახალი აუჯი,
რა სანოვავე, რა ტბილფელობა! ახლა კი სახლი და-
ლონებული იყო, სიცოცხლე მოკლებოდა, გოგო-
ფეხ-აქრეფით დადიოდა, ბიჭს დრო ეპოვა და ნახე-
ვარზე სხვაჯან ეგდა. არც თავის დროს სმა, არც
თავის დროს ქამა, ახალგაზდა ქვრივი მიუტულო-
ყო ოთახის ფანჯარაში, ფერი ხან მოუდიოდა ხან
მიუდიოდა, ცრემლებს აუჩქევდა; ბეგერი ტირილი-
საგან ქუთუთოები დაჯიჯგებოდა და ლამაზ თე-
ლებს შნო დაქარგოდათ.

— წერიალებზედაც პასუხს არ იძლევა!.. ის არ
იყო მუხლ-მოდრეკით მეფედრებოდა, კალთებს მი-
კონცინდა? ახლა კი აჯერ ორი კვირა არ გაუწაწაია;
რაც გაიგო ჩემი უხედურება, ფეხი აღარ მოუღვამს..
თითქო თითონ არ იყოს დამნაშავე... ცოლათ წა-
მამევე, მეუღლობა გამიწიე, ჯვარი დევიწერათო.
დაცენდე. ჩაქოლილო ჩემო თავო!.. ახლა რაღა მე
შეელება? იმის რჩევით სახლი გაეყიდე, იმის იმედით
ფულს არ უფრთხილდებოდი: აქ არა ვარ ევაქსო,
რას ყარათობო? ახლა კი თავი დამანება.. წამარ-
თო პატიოსნება და მილაღატა... ევაქსია?! ღმერ-
თივით ეხედებოდი არ მომატყუო, არ დამღუბო-
მეთქი... მოთქევადა ქალი და ჩამოდიოდა მღულ-
რება.

სველით გატაცებულს ვერ შევნიშნა, რომ თავ-
ზე მარქრიტა წამოდგომოდა. მაქანკალი კარგათ იწ-
ნობდა რეზიკოს. ახლაც რეზიკოს მოგვხვეწა ეს ლ-
დეკაცი. რეზიკო გამოცდილი იყო ამისთანებში, ბეწ-
რი ოინი ჩაედინა და იყოდა, როგორ მოველოა საქ-
მისთვის, რომ თავს რამე უსიამოვნო შემთხვევა არ
დატეზოდა.

— ყველაფერს ავიტენ თავიდან. პირველია თუქ!
მე, მე ჩამაზა მავისთანა უბრალო საქმეში?! მაშ
კნიაზ რეზიკო არა ეყოფილვარ და ის არის! ისე მო-
გიწყვიტო თავიდან, ჩემო შევნიერო, რომ ბუზიც
ვერ აუფრინო შენს რეზიკოს, ეუბნებოდა თავის

გულში მოტყუებულ ქვრივს, როცა იმის წერილს კითხულობდა. ერთი დღეიბარო მაქრია!

— დილა მშვიდობისა, ქა! რათა სატარი აგრემც გენაცლებს მაქრია? რათა ისეღმე შეენიერ თვალს? ბედნიერი დღეა მომავალი, მოიწმინდე ცრემლები, კვრას ნუ შეაჩვევ ნამეტნავ მწუხარებას.

ნუშო მოგეო გონებას.

— დაძანდო. სატარელი მაქეს, ჩემო მარქრიატა და გტირი; თავი მაქეს მოსაკლავი...

— რათა, შეილო? ქმარი ეის არ მოკლდომია, მაგრამ თან კი არაფერ ჩაწყობია. საწყალი ჩემი კაცი! ისე ვუყვარდი ცხოვრებულს, თვალში ჩაგვარონადი ხელს არ მოისვამდა. რამდენი მწარე დღე გამოვიარე იმის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, თავი კი არ მოვიკალი. აგრ სხვა შეენიერი ვაქცაქი შემოგტრფის.

— ნუ ამბობ, ნუ მიხსენებ იმ ავანჯის სახელს! დამოუპა... ახლა ვანზე გადგა, წერილებზედაც კი პასუხს არ მადლევს..., ვერარ შეიმაგრა ქალმა თავი.

— უო, დამიგვა თვალი! იქნება? რატომ არ დამეკითხე? ვაქცაც რაზან ნებას მისცემ, როგორცა შეიძლება მერე იმისი საყდარში შეტყუება.

ქალმა ტირილი ამოუშო. თვალ-ცრემლიანი გამოუტყდა ყველაფერში. მარქრიატა ჯერ ისე უცხოობდა ამას, თითქო არაფერი იცოდა და პირველათ ეჩხობდა ეს. მერმე დაფიქრა და ბეერი ყოყმანის შემდეგ დაუსხალდა ერთი დედაკაცი, რომელსაც შეეძლო კიდევ გაეთავისუფლებინა ქალი ზე საიდუმლოც შეენახა;— ამ ხელობას ადგასო, უღბრა.

— გასამრჯელოს კი ნუ დაიშორებ, ქაჯან! ხომ იყო, ჯერ თითონ მოარჩენას უნდა ხარჯი; ესეც რომ არ იყოს საფათურავე საქმეა და თუ სასყდელს არ დავაზარებთ, ხელს როდი მოკიდებს.

ნუშო დათანხმდა ყველაფერზე. მერი რა ღონე ჰქონდა! ექიმ დედაკაცმა თითქმის გაძარცვა ქალი, თუმცა ისე მარჯვეთი კი ვერ უშეშდა, როგორც იმდენ იძლეოდა: ფეხმიმე განთავისუფლდა, მაგრამ ძალიან ავით შეიქნა. რომ დაატყო საქმე ცუდათ არისო, დედაკაცი კვალ-წმინდათ დაიკარგა. მოიყვანეს ექიმი. ეწყინა, როცა ნახა რა ურჯულოთ მუპარობოდენ ქალს. სასწაულით გადარჩენილხარ სიკვდილსა—უთხრა. უნდადა ამ უდღერების მომქმედი სამართალი მიეცე, მაგრამ ავითყოფმა ნება არ მისცა, არც იმისი ვინაობა აცნობა: ემონიდა უფრო არ მამეყენიერებულეია ამავეი. დახელოვნებულმა მკურნალმა მთლათ მოარჩინა ავითყოფი. დიდი ხარჯი კი მოუვიდა ნუშოს; თუ რამ საფასური შეარჩენდა გაჰვიდა, დედისეული სახლოც დაუფარავა სომეხს. ძალიან ხელ-მოკლეთ შეიქნა.

მთვარე ჯერ არ ამოსულიყო. ვანათებულ სახლის ქუჩაზე ხალხი ბუზივით ირეოდა, მეტადრე თითონ სასახლის წინ. სასახლის გადასწვრივ კი, საჯარო წიგნთ-საცვის და ქალების გამანახის წინ თითქმის ბნელიდა. აქ ხალხი არ იყო, ათასში ერთი მგზავრი თუ გაივილიდა. ამ ადგილას ბოლთასა სცემდა თითქმის ხანში შესული კაცი. ევროპულათ ეცვა. გველი ჭალარა შერთული წვერი შუაში გაეპო, ნიკაპი გამოეჩინა; უღვაშების ბოლო ძირს დაშეეებოდა; წარბები თვალებზე ჩამოუხატოდა. მარჯვენა სალოლითზე ფიურების დიდი ბეჭეს უჩანდა. ღიმი გადმოეგდო. კარგა ხანი იყო რაც ეს ზრდადი კაცი აქ დადიოდა. თანდათან მოუთმენლობა ეტყობოდა. ხშირ-ხშირათ იღებდა უბიდან ოქროს სათს. ბოლოს მუჭუჭუმის მხრიდან გამოჩნდა შავე-ჩაქმული მანდილოსანი, მოკლე წამოსასხამზე ფუნჯებიანი პუცელი არშია ჰქონდა მოვლებული. ქალი ქვე-ქვეით მოდიოდა და ყველა ნაბიჯის გადადგმავზე ფუნჯები ირხეოდენ. მარჯვენა ხელში მალაღ-ტარიანი შავი ქოლგა ეჭირა, მარცხენა მკლავზე აბრეშუმის შალი გადაეგდო. ქალი რომ ქუჩაზე გამოჩნდა, კაცმა ის იყო იბრუნა პირი წიგნთ-საცვისაკენ, მაგრამ სწრაფათ შემოტრიალდა, თითქო იგრძნო საყვარლის მოახლოებება.

— სახლის პატრონის ცოლი შემოვიდა და იმაზე დავეგონე; ვინ იცის რამდენი მელოდა.

— მთელი დამე რომ მომდომოდა ლოდინი, მაინც უფეს არ მოეცეკლიდი აქედან,— მიუგო კაცმა და მოუჭირა ხელზე მანჯგელოანი ტლანქი ხელი და დიძახა:

— ეტლი!

მაშინვე გამოქანდა ეტლი; წამოახურებინა, ჩასვა, უბძანა მუშტაიღში წასულიყო, მტკერის-პირის ქუჩაზე გაველო. ეტლი რომ მუშტაიღის ბაღს უღლიდა გარს ხეივნებზე, ნუშო ჭინ-მოსულ ვაქცაქის მძლავრ მკლავებში თითოდა, როგორც გველ-შემოხვეული ჩიტი, კაცმა გამოყო თავი დახურული ეტლიდან და უბძანა „უფა“—ში წასულიყო.

„უფა“ სასტუმროს ერქვა. მუშტაიდიდან რკინის გზის სადგომისკენ რომ ქუჩა მიდის, იმ ქუჩაზე იყო ეს სასტუმრო. ოთახები სუფთათ ჰქონდათ შენახულთ, ყოველთვის დიდი სიჩუქრე სუფევედაქ. არც დღიურათ, არც ხანგრძლივი მცხოვრები მუშტარი არა ჩანდა აქ; დერეფანში რომ შავი ფიცარი ევიდა, ერთი-ორი გვარის ზეტს ევრას დროს ვერ ამოიკითხავდით იმაზე. რასაც მოითხოვდით,—სასმელს თუ საქმელს,—მაშინვე გააჩენდენ. ღამე კი იღვიძებდა ეს სასტუმრო; მაშინ ხშირათ ჩერდებოდენ იმის კარებზე წამოახურული ეტლები, რომლებიდანაც გად-

მოდიოდენ სამრუშოთ გამოპარულები და ფხაქრე-
ფით, ფრთხილათ არბოდენ კიბუნე. ეს ხალხი დაქი-
რავებულ ოთახში სულ სათი სათ-ნახევარი ჩრე-
ბიდა, თათფერ ჩასმე თხოულობდა, არ ჩინაზბა,
ფულს ანგედა. ზოგიერთ ოთახებიდან ბანქოს მო-
თამაშეების ხმა გამოისპოდა. შსაზუგები დერფფაში
არ ირეოდენ, მარტო სასტუმროს პატრონი იღებდა
კედლს; ზარის პირველსავე დაწკარუნებზე კი გაჩნ-
დებოდა ბიჭი, მარდათ ასარულებდა ბმანებას და ისევ
გაქრებოდა. სასტუმროს მეორე კარი ჰქონდა სხვა
ქუჩისკენ.

ნუშოს შალი წამოიფარებია, თვალები-ლაუნჩა-
და. აირბინეს კიბუნე. კაცმა ამოიღო ჯიბიდან გასა-
ლები და გააღო ოთახი. დახედა ვაშლილი სუბუქი
ვანშამი. ქალმა მოიხსნა შალი. ღალანა სახემ ოთახს
ნათელი მოჰფინა. ვაქაცმა მარჯეთ ვადატრიალი
გასალები და ციმციმ აიტაცა ქალი იატაკიდან.

თერმეტრი სათი რქნებოდა, როცა დაბურული
ეტლი ანჩატისკენ ჩასავლელ ვიწრო ქუჩასთან გა-
ნერდა. კაცმა გადმოსვა ნუშო ეტლიდან. ჩაიარეს ვიწ-
რო ქუჩა, შეუხებეს მარცხნივ, გავიდენ ძველ ალაყა-
ფის კარებში, რომელსაც მუხბანანთ ნიღბე გაჰყავს,
გიაჩრეს ხილი და გამოჩნდა ქალის საღვამი. აქ გა-
მოემშვიდობენ ერთმანეთს.

ნუშო ფრთხილობდა, რომ არავის ვეგვა იმი-
სი ამბები, ეტლს იმისთვის აჩერებდა მოშორებით.
ერთხელ რომ შეცდა, იმ შეცდომას იმეორებდა.
თაქვეს დადგომოდა, წუმბისკენ მისრიალებდა. უზ-
რუნეელ ცხოვრებას იყო შეჩვეული, ფლანგვა უყ-
ვარდა, ხელიდან კი არაფერი გამოუვიდოდა; იმის
ხელობა ძილი, კვლულთა და ხარჯვა იყო. სანდო-
მიანობა დაქნათლებია ბუნებას და ახლა ამ ნიქს
ხარჯავდა, მაინც კი იძედს არა ჰქარავდა, რომ და-
იქრდა საქმრთ ერთ იმ ვაქაცთავანს, რომლე-
ბიც ახლა ეტარიალიდებოდენ იმას: არ იცოდა კაცე-
ბი რა მალე იმწვანილებენ კვლულებს, თუ კი იხი-
ლეს ხილი.

ქალი ფლანგავდა თავის თავს, დახლი კი არა
ჰქონდა. ქარს შემოტანილი ქარსვე გაქაქავდა. ავათ-
მყოფობაზე რომ ეკლი დაედო, ის ხომ ევლარ მო-
იშორა და ახლა ელდე უმატებდა. სახლის ქირას ევლარ
იხდიდა. ეს ვარემოება და თანაც ქერივის საექუო
ქცევა იყო მიზეზი, რომ სახლის პატრონიზა ვერ
გვერდზე დაუწყო ცქერა, მეერ ავრძობია დაეცალა
სახლი. ეს ამბავი რომ აცნობა ქერივმა თავის ახალ
კაცს, იმან სიტყვა ბანზე აუგლო: ჩავარდა ვაქირება-
ში. მეტე ღონე აღარ იყო თავის საკუთარ ქონის-
თვის უნდა მიემართა.

ზაფხულის დილა იყო, სოთლულიანთ ეკას ხელ-

ში სურა ეჭირა და კევის ლლაქუნით მტკვარზე მი-
დიოდა. შეიხედა მავდს სახლისაკენ—ქის კარი გაე-
ლოთ, მარქირთა დადგომოდა ვილაც პატარა გოგოს,
სახლის და გზოს ავეყენი-აწმენდინებდა. არ იამა: ვეა-
ნა მარქირტას უჭირაენია სახლიო.

— დილა მშვიდობისა, ეკაც! მიესალმა მარქ-
ირთა.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! შენ დაიჭირე ეგ
ოთახი? კარგია, დავინებებთა თავი ეანქის ქუჩისა-
თვის.

— არა, ქა! პატრონი ჰყავს და ის ვადმოდის:
რა ქეუა სხვაენ ქირის ძღვევა.

— თითონ ნუშო იცხოვრებს აქ? იკითხა ეკაც
და უმკაყოფილობის ნიშნათ კევი ჩაატყლაშუნა.

კ. ბანოვა.

(შედეგა იანება)

კრიტიკული განხილვა.

(მ. გ. ჯანაშვილი. შოთა რუსთაველი, თბილისი.
1896 წ.)

„დედუძის საქართველოს ისტო-
რიას ნამდვილი ისტორიკოსი არ
გამოჩნდა და ჯერ არც შესაძლ-
ებელია, რომ ვინმე გამოჩნდეს“.

ბ. წერეთელი.

(დასასრული *)

ბოლო რაც შეეხება პროფ. ჩუბინაშვილის
აზრს, რომ რუსთაველის პოემის შინაარსი და
„თამარ მეფეზე მოთხრობა „ქართლის-ცხოვრე-
ბით“ ბევრში წაავებს ერთი-ერთმანეთს, ჭამასადამე,
თეთი პოემის შინაარსი თამარის ცხოვრებიდან არის
აღებული, ჩვენ ამის შესახებ უკვე წარმოგთქვით ჩვენი
აზრი მოკლეთ პირველ წერილშივე. ჩვენ ვამბობთ, რომ
უმათერესი შინაარსი „ეფფისის-ტყაოსნისა“, მისი სოუ-
ფერტი, — ნესტან-დარეჯანის და ტარიელის ისტორია
სხვა-და-სხვა ფანტასტიკური შემთხვევებით აღმოსა-
ვლეთის ფანტაზიის კვალობაზე, სხვა-და-სხვა ეპიზო-
დები, მაგ., ზღვის სამეფო, ქარავენები, სავაქროები
და სხვ., და უმთავრესათ წმინდა აღმოსავლეთური
დესპოტიური სახელმწიფო წეს-წყობილება, ემიუ-
რებთ, ეს უმათერესი შინაარსი კეფფისის-ტყაოსნისა“



მაშინდელი ჩვენი ცხოვრებადან ვერ იქნებოდა აღებული. ასევე უნდა ეთქვას, შოთა რუსთაველის პოეზიის თვით შინაგან და გარეგან ხასიათზე, მის მღვდარ ფაქტობაზე, მეტრის-მეტ ვახვიაღებაზე, ჰიპოროლოგიურ შედარებაებზე, მოქმედების ადგილების გეოგრაფიისა და შეუსაბამობაზე და სხვ. და სხვ., რაც არა ერთხელ აღწერილია. ყოველივე ამას შემდეგ იმის მიტოვება, რომ „ვეფხისტყაოსანის“ შინაარსი თამარ მეფის ისტორიიდან არის აღებული, ყოველგვარ საუბრედ სწორედ მოკლებული მიგვიჩნია. ბ. ჯანაშვილი ამბობს, მაგ., რომ ნესტან-დარეჯანზე მოთხრობა „ვეფხისტყაოსანი“ ეს თამარ მეფის ისტორიაა „ქართლის ცხოვრებით“, და ტარაგელის კიდევით სოსოანისა; რასაკვირველია, თუ მართა გამოგლეჯილ სიტყვებზე და ცალკე შემთხვევებზე დამყარებთ ჩვენ მსჯელობას, როგორც, მაგ., რუსთაველის მონაწილეობის მიღებას მისი გვირგვინის მოქმედებაში შექმნილ სიტყვებზე; „არ უნახავს თვალს ჩვენი“, ჩვენ აქვალთ დადგინებული ბ. ჯანაშვილი; მაგრამ თუ საყვირით და სავითარ განვხილავთ ერთსა და მეორესაც, ჩვენ აშკარათ დავინახავთ, რომ ამ ორ მოთხრობათა შორის თუ რაიმე მსგავსება არსებობს, ის მართა შემთხვევითია და არავითარი ორგანიზებული დამოკიდებულება იმით ერთმანეთ შორის არა აქვთ. ამასთანავე ჩვენ იმის წინააღმდეგი სრულებით არა ვართ, რომ რაც რუსთაველმა აღმოსავლეთის თქმულება, ზღაპრით გადმოცემული აღდწერილი, აიღო თავის პოემის სიუჟეტით, სხვადასხვა შემთხვევანა თანამედროვე ცხოვრებიდან არ გამოეზღვრა და სხვაში, ეს შეუძლებელიც არის, მაგრამ რაც ვამბობთ: პირდაპირ ჩვენი ცხოვრებიდან არის აღებული, ეს სულ სხვაა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რაც ამას წაიკითხავს ბ. ჯანაშვილი, ის მაშინვე მოგვიგონათესა შემდეგი კითხვით: „რთუ თუ საქართველოს გარემო იყო: იმისთანა მწეჩალი, რომლის თანხლებებში რუსთაველმა მხოლოდ აღწერა და ქება თამარის, წარბთა და წაწამთა, თამარ და ბაგეებილია, მეფის მზის თამარისა, ღაწუბალსმ, თმა-გომარისა“? (გვ. 67). თუნდაც რომ ეს მართლა ასე იყოს, ე. ი. წარმოვიდგინოთ რომ რუსთაველის მართლა უნახავს უცხო მწერლობაში თამარის აწარბთა და წაწამთა; ქება, ჩვენ ამაში ვსაკვირვალს ეწარბთის ვერ ვხედავთ, რადგანაც გვირგვინის აღწერა გარეგნობით აღმოსავლეთის მწერლობაში და თვით რუსთაველის პოემაშიც უმეტეს ნაწილათ ერთ ფეროვანია. თუ გნებავთ, ეს გარემოება ხელოვნური ნაწარმოებია ნაკლებად განხილვას შეადგენს, მაგრამ ამაზე ახლა ჩვენ არ ვლაპარაკობთ. საქმე ის არის, რომ ბ. ჯანაშვილის მიერ დასაწვდომი ადგილი

„ვეფხისტყაოსანისა“ ყალბია, ე. ი. ის შოთა რუსთაველს სრულებით არ ეკუთვნის.

ჩვენ ზეით დავინახეთ, თუ როგორ იქცევა ბ. ჯანაშვილი სხვისი აზრის და შეხედულების გადმოცემის დროს; მაგრამ კიდევ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ავტორი სულ უფურაღდებოთ ტარებს „ვეფხისტყაოსანის“ ერთ ყველაზე უფრო შესანიშნავ მკვლევარს. 1) ჩვენ ვამბობთ ბ. ალ. ს.—შვილზე. 2) ჩვენ აქ ვერ შევალთ იმის გამოკვლევაში, თუ რისთვის გატაცებით ეტანება ხალხი „ვეფხისტყაოსანის“ მსგავს თანხლებებს. ეს უნდა მივიღოთ ჩვენ აქ როგორც ფაქტი. მეორე მხრით, როგორც ფაქტი უნდა მივიღოთ აგრეთვე ისიც, რომ სასულიერო წოდება ამავე ნაწარმოებს სასტიკათ დევნიდა; ამის მიზეზი აშკარაა: იმ დროის სასულიერო წოდება, რომლის ხელშიაც იმყოფებოდა ხალხის განათლების საქმე, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ ხალხის გონება მართა ზეცისაგან მიეპყრა; და ამა, „ვეფხისტყაოსანში“ ის ამისთანას რას ამოიკითხავდა? იქ ხომ მიჯნურაბიდან გატაცებულის და შემოღალას მეტს ევრაეთიარ მისაბაძე მაგალითს ვერ ნახავდა? მაგრამ უფრო ღირს-შესანიშნავი ამ შემთხვევაში ის არის, რომ სასულიერო წოდება აქ დევნაში ეყრდნობა გახდა; ხალხი სულ უფრო და უფრო ეტანებოდა „ვეფხისტყაოსანს“. ამატამ სასულიერო წოდების წარმომადგენელი იძულებული შეიქმნა სხვა საშუალებასათვის მიეგრათო, რომელიც აგრეთვე არა ერთხელ ყოვლად ხმარებულა იმთ მეფრ. ივინი სხვადასხვა სიტყვების თუ ფრაზების ჩამატებით ცვლილებად ქრისტიანული ხასიათი და მიზართულება მიეკათ ამ ნაწარმოებისათვის. (რასაკვირველია საზოგადო ხასიათი და მიმართულება რუსთაველის პოემის ამით სრულებით არ შეცვლილა). ეს ჩვენ მიერ დასაწვდომი გარემოება და აგრეთვე ისიც, რომელიც დასახლება ბ. ალ. ს.—შვილი, ე. ი. გადამწერის, რომელიც თითქმის ყოველთნის სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა, გატაცება „ვეფხისტყაოსანით“ და ამასთანავე სურვილი თავისი ლექსიც ჩაუროთს შიგან გვერდზე მიაწეროს, შეიქმნენ უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ რუსთაველის პოემა გაიკრეწა. იმის

1) ჩვენი ატორის ერთობ მკაიკ ბრუნდე წარმოდგენა უნდა ქონდეს სიტყვა მკვლევარზე. ეს ჩანს სხვათა შორის იქიდანაც, რომ ის თ. ალ. ჭავჭავაძეს, რამდენიმე ბუნდოვან სიტყვებს წარმოთქმისათვის ნესტან-დარეჯანის შესახებ, მკვლევარს უწოდებს. (გვ. 41).

2) ის „პოემა“ 1895 წ. სტ. „ვეფხისტყაოსანის ელბი ადგილი“ № XI და XII — და 1896 წ. № III.

და მიუხედავად, რომ ამ უკანასკნელ დროს ბევრნი ცდილობდნენ გამოეყოთ „ევფხის-ტყაოსნიდან“ ის ადგილები, რომლებიც რუსთველს არ ეკუთვნოდნენ, მაგრამ დღეს რომ ჩვენში „ევფხის-ტყაოსანი“ იბეჭდება, იმაში ძლიერ ბევრი ყალბი ადგილები მოიპოვება. ბ. ს.—შვილი განსაზღვრული მეთოდით შეუდგა ამ ყალბი ადგილების გამოცნობას და სწორით რომ ნაყოფიერი გამოდგა მისი შრომა ამ მხრით; მან აშკარათ დაგვიმტყიცა ³⁾ აწინდელ „ევფხის-ტყაოსანს“ ჩვენ მრავალი ყალბი ადგილებით ეკითხულობით და ეთავაყენებით. ბ. ჯანაშვილმა კი ერთი სიტყვიც არ მოიხსენია ბ. ალ. ს.—შვილის შრომა და ამ უკანასკნელის მიერ ამოჩენილი ყალბი ადგილები არა თუ სულ უუურადღებოთ გაუშვა, არამედ უმეტეს ნაწილათ ამ ყალბ ადგილებზე ამყარებს თავის უმთავრეს მსჯელობას ⁴⁾. საჭიროთ ვთვლით შევნიშნათ აქ, რომ თუ, ერთი მხრით, ბ. ალ. ს.—შვილის მიერ ამოჩენილი ყალბი ადგილები ძირს უთხრის ბ. მ. ჯანაშვილის „მოსაზრებათა“ უმეტეს ნაწილს, მეორე მხრით, ამ ყალბი ადგილების გამოაშკარავება თითონ ბ. ჯანაშვილის დახიზნა იმ უხერხულობიდან და ყალბი მდგომარეობიდან, რომელიც იგი ჩააგდო შოთა რუსთველს შემდეგი სიტყვების ახსნამ: „ესე ამბავი სპარსულთ ქართულათ თარგმნებია“. ბ. მ. ჯანაშვილი იმის დასამტკიცებლათ, რომ რუსთველს უცხო ცხოვრებიდან არ აუღია თავის პოემის შინაარსი, გვეუბნება, რომ სიტყვა თარგმა იმ დროს არ იხმარებოდა იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც იმას ახლა ჩვენ ენმარობთ, არამედ ის ნიშნავდა ახსნას, განმარტებას, (გვ. 67). კარგი და პატიოსანი, მაგრამ აი, მაშინ რა გამოვა: ესე ამბავი სპარსულთ, ქართულთ ახსნილი არ განმარტუჴულია! მაგრამ განა ეს იგივე თარგმანა არ გამოადის, მხოლოდ ამ სიტყვის უფრო კარგი მნიშვნელობით? მაშინ როცა ბ. ალ.

ს.—შვილის გამოკვლევა, რომლითაც ამ ხანის სწორული სიყალბე მტყიცდება, ადვილათ იხსნიდა ბ. ჯანაშვილს ამ უხერხული ახსნიდან.

ფ. მხარაძე.

ხალხური ზებირ-სიტყვაობის შეკრების გამო.*



ველამ ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულმა პირმა კარგათ იცის, თუ რა ძვირფასი მასალა წარმოადგენს ხალხში დარჩენილი ამბები, ე. ი. ზებირ-გადმოცემა; ეს არა ერთხელ თქმულა. ზებირ-სიტყვაობა ჯერ კიდევ ხელ-მისაწღღობა ჩვენთვის მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ ის უსათუოთ გაქრება, ცხოვრების ძველ წესთან ერთათ. ჩვენი მოწინავე კაცები ამას ცხადთ გრწმობდნენ, როცა ღალატდნენ, ავალბდნენ (და ავალბენ დღესაც) სოფლათ მოღვაწე შეგნებულთ და მოწვეულ ახალგაზღბულთ, რომ ხალხურ ზებირ-სიტყვაობისათვის დიდი ყურადღება მიექცათ, რადგანაც იგი ძვირფასი განძია ერის სულიერი და ზნეობრივი ცხოვრების შესწავლისათვის. არ ითქმის, რომ ამ ღალატს და დევალბებს უჭმათ ხაყარას: მრავალი ხალხური თქმულება და ზღაპრულიქი ჩაწერია და შეკრებილა დღემდე, მაგრამ ამ საქმეს სამწუხაროთ, ჯერაც წეს-ერი მიმართულება არ მისცემია. როგორც ვიცი, აქამდის ცალკე წიგნათ გამოაცემულია მხოლოდ ბ. ხიზანაშვილის ხალხურ ლექსთა კრებულთა და ორიოდ ბროშურა ხალხური ზღაპრებისა—ეს არის და ეს. ესენი კი შეადგენენ წვეთს იმ ზებირ-სიტყვაობისას, რომელიც განუთულია ძველსა და ახალ ქურნალ-გაზეთებში და ან რომელიც დასაბუქლია დღეს (მოიგონეთ წიგნად გამო. ამხ.* მიღებული თ. რაზიკაშვილის შეკრებილი ხალხური ეპოსი, რომელიც ადერ ექვსი წელიწადია, რაც ხსენებული ამხანაგობის არხივში განისვენებს). იქნება ვინმემ თქვას: ხალხური ეპოსის შემკრებს რაღა ხელმძღვანელობა უნდაო, იაირონ სოფ-

³⁾ ბ. იდ. ს.—შვილის შრომა ჟერ კიდევ არ არის დამთარგმული.

⁴⁾ შეიძლება თავის განამარტულებლათ ბ. ჯანაშვილმა ამ შეთხვევაში ის გარემოება დასასჯელას, რომ მის უკმა დაქრებილი ქქონდა თავის შრომა, როცა ბ. ს.—შვილის წერილი დაიბეჭდა „მოამბეში“; მაგრამ ამით თავის განმარტება შეუძლებელია, რადგანაც ბ. ჯანაშვილის წიგნი შოთა რუსთველზე რამდენაში თუკს უმდეგ დაიბეჭდა ბ. ს.—შვილის პირველ წერაილს დაბეჭდვის შემდეგ და ამიტომ საკმარისი დრო ქქონდა ის ოკესხე ნებათ.

* ამ ფრად საყურადღებო საქმეს თვით „ქველის“ რედაქციამ დიდი ყურადღება მიაქცია და „ზეპირ-სიტყვაობის“ ფონდის დასაარსებლათ ფუფს აგრძელებს. ათასი მხნითი უკმა შეკრებილია და პანკში ინახება სარეკლამით, მაგრამ საქმის მოთავეუის სურთ ეს ათასი მხნითი თანხათ შეინახონ და სხვა—რად შეიძლება შემოწინდულობა იმითი მარყურს საქმის წაყენას.

რედაქტორი.

ლათ და, რაც მოხვდება, ჩაწერონო. არა, მე ამის თანახმა არა ვარ და არც ასე მსუბუქ საქმეთ მიმართა ხალხური ეპოსის შეკრება: ამ ყმათ ჩვენი ხალხი ცხოვრების სხვა-და-სხვა პირობების გამო მეტად შეშინებული და დამევიანებულია. ვისმეც რომ უთხროს: ზღაპაროლეკი მიამბე, ქალღღმში უნდა ჩაწერო, იმეც წამს ვაიფიქრებს: ამ კაცს ჩემთვის უთუოთ სახიფათო რამა სწავლია მისი ქალღღმე მე კეთილს არას დამაყრისო, და უარს გამოგიცხადებთ; ან ამას იფიქრებს: ეს კაცი ნამდვილათ დამცინისო და ვიპასუხებთ: ვაპწვილო, თქვენ ნასწავლებს უფრო კარგი ამბები გიწერათ, იმ ამბებთან ჩვენი გლეხური ზღაპაროლეკი რის მაქნისი იქნება! აქ თუ შემკრებელმა ლაპარაკი არ დაუწყო, თითონაც რამე მსაგავსი არ უამბო, საქმის ვითარებაც თუ არ აუხსნა ცოტადნათ, ეგრაფერს ეგრ ვახდენა. ბერიც სხვა სიძნელე ელოდება წინ ამ საქმეს, მაგრამ აქ ყველას ჩამოთვლა არ შეიძლება. აი, ამისთანა გარემოებაშია ხალხური ეპოსის შემკრებელი დღეს და აბა რათ უნდა დაჰკარგოს დრო და შრომა უბრალოდ იმის ჩაწერისათვის, რაც შეიძლება უკვე შეკრებული და გაშუქებულია? ამიტომ, ჩემი ფიქრით, საჭიროა ითავოს ვინმე, ვისაც ამ საქმისათვის გული შეტკივა და ძალ-ღონეც ნებას აძლევს: 1) ამოკრება ძველი და ახალი ჟღერად-ვახუთებიდან ხალხური ეპოსისა და ცალკე კრებულებათ დაბეჭდვა; 2) გამოცემა ყოველ წლიურ კრებულისა, რომელიცაც განსაკუთრებით ბრალსერი ეპოსი იქნება მოთავსებული; 3) ყოველი პროვინციელი შემკრებელი ზნეობრივად ვალდებული უნდა ვახდეს, რომ მის მიერ შეკრებული ზეპირ-სიტყვაობა კრებულის გამომცემელს მიაწოდოს, ბოლოს უნდა დაეძინო, რომ ყოველ კუთხეში ადგილობრივი მკვიდრი უნდა აგროვებდეს ხალხურ ზეპირ-სიტყვაობას, თუ გინდა რომ ქართული ენის კილო-კაცები შეგნებით და შეშუძლავათ იქმნას აღნიშნული ყოველ ხალხურ თქმულება—ლექსი.

ფეხვალიშვილი

საქველ-მოქმედა საქმე.

გენ განიზრახეთ ვითხოვთ ფონტის განყოფილების დაარსება სოფელს სათიჯლოში (თფილისის მაზრა), იქ სადაც არის ნემცების ახალ შენი სოფელი: მარიენფელი, ფრეიდენალი და პეტრესდოფი. მე შეეგაროვე ამ საქმისა-

თვის ვარემეზო სოფლებში 387 მანეთი ვითხოვ უმოპრობისათ „კეკელის“ რედაქციას გამოაცხადოს ეს სია საცნობლოთ მათთვის, ვინც ამ საგნისათვის ფული შემოიტანა.

30 მ. შემოსწირა სოფელ საჯარჯოს საზოგადოებაში. 8 მ. აქციონის კონტრ. მოადგილემ შადინოვმა. ხუთ-ხუთი მანეთა: ს. ჯაბადარმა, ივ. ჯაბადარმა და შაქარ პეპაროვმა. სამ-სამი მან. ალ. ჯაბადარმა, მ. მურვანიშვილმა და ტ. მეველოვმა. ორორი მან.: მლ. ნ. დავილოვმა, ი. ბელიცმა, ზ. ქურდოვანიძემ, ის. კურხულიმ, ტურ-სტეფანოვმა, ნ. ქურდოვანიძემ და ეპარ მ. პეტროსოვმა. თითო მან.: კნ. ევ. მაყევისამ, ა. ბენაშვილმა, სპ. ვაბელაშვილმა, გრ. ერიკოვმა, მუხაძემ, ციციანოვმა, დ. ქურდოვანიძემ, ავ. მაკ. არუთინოვმა, ავ. აღ. არუთინოვმა, ელ. ავთანდილოვისამ, ს. არუთინოვმა, იაკობ, კარაქტ, ყაზარ და ვასილ რევაზაშვილებმა, შაქარ მდივანოვმა, ნ. ტერ-გაბრიელოვმა, ს. ანუაშვილმა, წყალობა არუთინოვმა, გ. სტეფანაშვილმა, გ. გზირიშვილმა, ი. მირიზანიშვილმა, ნ. ქელიციმ და იოსებ პოლისოვმა. 15 მან. აველ იაშვილმა სულ 115 მ.

ს. მუსხაზაძემ 25 მ. შემოსწირეს პოლკ. ქრ. მამაცაშვილმა და პოლ. ჩერკასკიმ (ამათ ორივემ ადგილზევეს კვლევა; თუ საჭირო იქნება). თითო თუმანი: ინიერგმა ბაზმეტიცმა და კნ. დადიანისამ. 5 მან.: გიგინიაშვილმა. სამ-სამი მან.: ლესნიჩმა კავაროვმა და გ. ელიავამ. სულ 81 მ.

ერთი თუმანი სოფ. საშმის საზოგადოებაში. 20 მან.: არსამანდრატი ვესევი. 5 მ.: ბილალიჩინმა ბაქრაძემ. 3 მან.: გ. ნახუცარიოვმა. 2 მან. ი. ბაქრაძემ. თითო მან. ევ.: ლოლაძემ, ე. ლალიძემ, ელ. მაჭავარიანმა, ნ. ალათანაშვილმა, ი. გოგინიაშვილმა, გ. ვაბუნიაშვილმა, ს. თედორაშვილმა, მ. ნიკოზელიძემ, რ. მამისთავლისშვილმა და არან ისრაელიოვმა. სულ 50 მ.

სოფ. შატრქუელიდან 5 მან. დ. ბილანიშვილმა. სამ-სამი მან.: მღვდ. ლეონიძემ, ანა ბილანიშვილისამ. ორო-ორი მან.: ნ. ბილანიშვილმა, ა. ენაგელიმ, გეო ყუშიტაშვილმა და ზ. ჯილაურმა. თითო მან.: მიხეილ, გაბრიელ, დიმიტრი, გარგი, სოლ. ზაქარია, მ. ბილანიშვილებმა, ლავ. მათიჯაშვილმა, ნ. ცხეთაძისამ, ი. მურადიშვილმა, გ. ჯილაურმა, მ. ოთარაშვილმა, ნ. ყუშიტაშვილმა და ს. გიუნაშვილმა. სულ 33 მ.

10 მ. ს. გიორგი-წმინდის საზოგადოებისაგან. 12 მან. მღვ. თედორე გულისაშვილმა. ორო-ორი მან.: ელ. ვაბო, ერემია და მღვ. მ. გულისაშვილებმა. სულ 30 .

12 მან.: ნემეცების საზოგადოებაში. ხუთ-ხუთი

მან.: პრისტემა დ. ნაცვლოვმა, პასტორმა ვირენიამ.
3 მან.: მასწავლებელმა შვიტმა. 2 მან.: აქციონის ზე-
დამხედველმა შანშიევმა. სულ 27 შ.

სოფ. თოსლაურიდან სამ-სამი მან.: თავ სიმონ,
ლევან და ზაქარია ჩერქეზიშვილებმა, ე. თამაშვემმა
და ბალ. მაკარაევმა. 2 მან. იაკ. თერუშოვმა. თითო
მან.: სემიონ, ივანე და იასონ ყერქეზიშვილებმა.
სულ 20 მან.

5 მან.: სოფ. ნინო-წმინდის საზოგადოებამ. 3
მან.: მღვდ. ნ. გულიაშვილმა. 2 მან.: საზარ გულია-
საშვილმა. თითო მან.: ალ. გულიასვილიმა, რაფ.
ზუკაიშვილიმა, გ. შიშნიევმა, ან. კაპანაძემ, კ. გუ-
ლისაშვილიმა და ან. მღვდბრიშვილიმა. სულ 16 მან.

10 მან. სოფ. საბთაქალის საზოგადოებამ. 2
მან. ოლანეს ლაჩინემა. თითო მან.: გასპარ ხაჩატუ-
როვმა, მიკიტჩი კასუმოვმა და საქულ პარსედოვმა.
სულ 15 მან.

ცხრა სოფელში სულ შეიკრიბა 387 მან.

II

„ჯეჯილის“ რედაქციას მოუყვია განჯიდან მი-
ხეილ გურგენიძესაგან 5 მან. დასაკეთათ ტურნა-
ლი „ჯეჯილისა“ ოზურგეთის მაზრაში სოფელ ჩო-
ხეთის სკოლისთვის. დიდი მადლობის ღირსნი არიან
ყველა ამ გვარნი პირნი შემოაწირულობისთვის, რად-
გან ხშირათ სოფლის სკოლები ისე ღარიბები არიან,
რომ ვერ გამოაწერენ ხოლმე საყმაწვილო ტურნალს
და არც რედაქციას აქვს იმდენი საშუალება, რომ
უფასოთ მიაწოდოს.

ექიმი ა. ანუილია

III.

ქ.ნო რედაქტორო! ამასთანავე ვაახლებ 11 მა-
ნეთს და 40 კაბიკს, შეკრებილს ს. ასკანაში, გან-
სვენებული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სა-
ხელზე დასარსებულ ფონდის სასარგებლოთ. სია
შემომწირველთა:

ოწმ მანეთა: ივანე ჭეიშვილიმა.—თითო მანეთა:
კაპიტონ ასათიანიმა, ივანე შევარდნაძე, იოსებ ჭუბა-
რიამ, ბესარიონ თალაკვაძემ, ყარაჟან ნინიძემ, დიმიტრი
მჭეიშვილიმა, სოლომონ მჭეიშვილიმა.—თათი მჭურა:
გიორგი ასათიანიმა, დათა ასათიანიმა, ივანე თალაკვაძემ,
სერგია ჩხაიძემ.—ოწმ აპაზა: რაქლენ კილურაძემ.

ასკანის მამასახლისი ს. შჭეიშვილი.

ეს ფული ვაგზანა ქუთაის. დეკ. გ. ცაგარეიშვილს.

რედაქტორ-გამომცემელ ან. თ.-წერეთლისა.

ახალი წიგნები იაკობ გოგებაშვილისა

მოსავლის მცველი, ანუ სასარგებლო ცხო-
ველები და ფრინველები, იპროპს ლეწერას ოსმონტის ცხოვე-
ლისას, ოც-და-წუთი სურათით. ისელება დამკვეთელთა წგნის
მალაზიში: თბილისში წერაკითხვის საზოგადოების მალაზიაში
ქუთაისში ქილაძის, ნეთურელის და ბუენიშვილის მალაზიში;
ახალ-სენაკში, ოზურგეთის და ბათუმში თავაბრეილაძის მალა-
ზიში, ფსი ეველგან ერთი აზაზი.

Разборъ учебныхъ рукозодствъ по русскому языку:
Родного Слова Ушинскаго, Русскій Рѣчи Вольтера, Курса
Русскаго языка Левитскаго, Русской Рѣчи Чернышевскаго, ამას
გარდა წიგნში მოთავსებულია ცოდვე ორი სხვა წერილი, Уче-
бный планъ Школы церковной и Курсы начальной Кавказ-
ской школы, ისელება იქვე,—ფასი ათი შაური.—

(6—1)

განცხადება

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგ-
ნის მალაზიაში იყიდება

ბ ი უ ს ტ ე ბ ი

გაბრიელ ეპისკოპოზისა

ფასი 1 მან. 40 კაპ.

კბილის ექიმი

ვ. ი. ჭიჭინაძე

20 ივნისიდან მიიღებს ავთანეოფებს ახალ
სადგომში. ნიკოლოზის ქუჩა, ე. საგინა-
შვილის სახლი, № 21, სადაც „ივერიის“

